



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსის მ/შ

თორნიკე შერმადინი

14 იანვარი

„-----“ 2013 წელი

ფგზ 2

შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“

2008, 2009, 2010 და 2011 დასრულებული წლების და 2012 წლის 31 მარტის

მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში *მ/შ 4/00*

სარჩევი

აუდიტის მასშტაბი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	4
2. ძირითადი საშუალებები.....	4
3. საკუთარი შემოსავლები	7
4. აუდიტის შედეგად აღმოჩენილი დარღვევა-ნაკლოვანებები.....	9
5. შპს „სიონი-მ“-ის და შპს „მტკვარი-მ“-ის მიერ განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობა	16

შესავალი

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის 5 მაისის # 14/39 შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ აუდიტის წერილის თანახმად განსაზღვრული ფინანსური აუდიტის მასშტაბი სრულად ვერ მოვიცავით შემდეგი შეზღუდვებიდან გამომდინარე:

- შპს „ალაზანი-მ“, შპს „კოლხეთი-მ“ და შპს „მტკვარი-მ“-ის ქონების ინვენტარიზაცია, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ განხორციელდა სამართალმემკვიდრე (შპს „სიონი-მ“) კომპანიის მხრიდან;
- გაერთიანებული კომპანიის კაპიტალის ფორმირების მიზნით აუდიტორული დასკვნის არ არსებობა;
- ბუღალტრული ანგარიშების და შესაბამისი პირველადი დოკუმენტების კონსოლიდაციის პროცესის დაუსრულებლობა და მისი ერთიან სისტემაში მოყვანა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „შპს სიონი-მ“ წარმოადგენს დანარჩენი სამი კომპანიის სამართალმემკვიდრეს აუდიტორული პროცედურების განხორციელება დაიწყო და ზემოთხსენებული შეზღუდვებიდან გამომდინარე შემოიფარგლა აღნიშნული კომპანიის მნიშვნელოვანი ანგარიშების ანალიზით (ძირითადი საშუალებები, საკუთარი შემოსავლები და მიღებული ფულადი სახსრებით შესრულებული პროექტები) და დამატებით შპს „სიონი-მ“-ისა და შპს „მტკვარი-მ“-ის მიერ განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესწავლით.

შპს „სიონი-მ“-ში აღმოჩენილი ნაკლოვანებები შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიი“-ს ხელმძღვანელობას გასათვალისწინებელი აქვს გაერთიანებული კომპანიის საქმიანობაში.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი ზედამხედველობა, რომ ძირითადი საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს საქმიანობაში არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სიონი-მ“ დაფუძნდა 2007 წლის 19 თებერვალს, ეკონომიკის მინისტრის N1-1/303 ბრძანების საფუძველზე, ხოლო მისი პარტნიორი და შესაბამისად კომპანიის საწესდებო კაპიტალის მმართველი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საწარმოთა მართვის სააგენტო“, დამფუძნებლის წილი საზოგადოებაში შეადგენს 100 %-ს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის საინჟინრო-სამელიორაციო მომსახურების გაწევა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

2012 წლის 16 მარტის სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ #1-3/191 ბრძანების თანახმად მოხდა შპს „სიონი-მ“, შპს „ალაზანი-მ“, შპს „კოლხეთი-მ“ და შპს „მტკვარი-მ“ შერწყმა. შპს „სიონი-მ“ განისაზღვრა დანარჩენი კომპანიების უფლებამონაცვლედ, მოხდა მისი სახელწოდების ცვლილება და ეწოდა შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“.

2. ძირითადი საშუალებები

შპს „სიონი-მ“-ს დაფუძნებისას აუდიტორული კომპანია „ათოსი“-ს აუდიტორული დასკვნის და საწარმოთა მართვის სააგენტოს N1-3/482 ბრძანების მიხედვით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 148,319,880 ლარის ოდენობით. საწესდებო კაპიტალის 98% შედგებოდა ძირითადი საშუალებებისაგან (უძრავ-მოძრავი ქონება), რომელიც წარმოადგენდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი, ლიკვიდირებული სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტში შემავალი სამმართველოების ბალანსზე რიცხულ ქონებას.

2007-2011 წლების განმავლობაში ხდებოდა ცვლილებები ძირითადი საშუალებების კუთხით. ზრდა გამოწვეული იყო შპს „სიონი-მ“-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით, კომპანიისათვის აქტივების გადმოცემით და გრძელვადიანი აქტივების შესყიდვით. ძირითადი საშუალებების შემცირებას იწვევდა ქონების ნაწილის მუნიციპალიტეტებზე გადაცემა, ან მათი აუქციონის წესით რეალიზაცია.

წლების განმავლობაში ძირითადი საშუალებების მოძრაობა და ნაშთები შემდეგნაირად ნაწილდება:

დასახელება	მიწის ნაკვეთები	ნარგავ- ვები	შენიშვნები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარ- ები	ოფისის ალკურვი- ლობა	ავიჯი და სხვა ინვენ- ტარი	სატრანსპორტო საშუალო- ბები	გადასაცემი ქონება	სხვა ძირითადი საშუალო ბები	გადასაცემი ქონება	დაუმთავრებული შენიშვნა- ლობა
საწყისი	1,835,770	3,088	2,115,611	100,565,149	264,596	28,912	28,722	259,034	42,887,892	11,372	45,014,640	-
მატება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	-	(463)	(105,781)	(5,373,404)	(39,518)	(5,593)	(5,020)	(50,718)	(2,656,583)	(1,966)	(45,014,640)	-
საბოლოო	1,835,770	2,625	2,009,830	95,191,745	225,077	23,319	23,702	208,315	40,231,308	9,406	-	-
საწყისი	1,835,770	2,624	2,009,830	95,191,745	225,077	23,319	23,702	208,315	40,231,308	9,406	-	-
მატება	738,700	-	20,190	59,235	3,093	10,570	5,322	259,333	9,541,554	3,901	-	-
კლება	-	(394)	(101,501)	(5,361,391)	(56,889)	(8,087)	(12,512)	(152,402)	(42,860,005)	(2,088)	-	-
საბოლოო	2,574,470	2,231	1,928,519	89,889,589	171,281	25,802	16,512	315,246	6,912,857	11,219	-	-
საწყისი	2,574,470	2,231	1,928,519	89,889,589	171,281	25,802	16,512	315,246	6,912,857	11,219	-	-
მატება	-	-	23,600	3,321,236	10,880	3,247	-	123,211	-	3,806	-	-
კლება	(286,320)	-	(1,129)	(58,239)	(9,800)	(6,598)	(827)	(45,745)	(62,285)	(3,511)	-	-
საბოლოო	2,288,150	2,231	1,950,990	93,152,587	172,361	22,450	15,685	392,712	6,850,572	11,513	-	-
საწყისი	2,288,150	2,231	1,950,990	93,152,587	172,361	22,450	15,685	392,712	6,850,572	11,513	-	-
მატება	4,380,448	-	15,808	2,330,917	1,822	6,569	1,653	118,994	6,904,297	7,844	-	-
კლება	(598,410)	(22)	(223,290)	(4,562,388)	(17,102)	(5,132)	(2,711)	(100,925)	(6,935,881)	(3,468)	-	-
საბოლოო	6,070,188	2,209	1,743,508	90,921,117	157,081	23,888	14,627	410,781	6,818,988	15,889	-	-
საწყისი	6,070,188	2,209	1,743,508	90,921,117	157,081	23,888	14,627	410,781	6,818,988	15,889	-	-
მატება	111,984	-	-	19,436	-	5,080	-	88,559	-	8,724	-	880,325
კლება	-	(19)	(83,231)	(4,422,834)	(8,910)	(5,121)	(2,104)	(100,781)	(20,136)	(4,519)	-	-
საბოლოო	6,182,172	2,190	1,660,278	86,517,719	148,171	23,846	12,524	398,559	6,798,852	20,094	-	880,325

წლის ბოლო ნაშთები კი შემდეგია: 2007 წელი - 139,761,098; 2008 წელი - 101,847,726 ლარი; 2009 წელი - 104,859,252 ლარი; 2010 წელი - 106,178,277 და 2011 წელი - 102,644,730.

თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის N1-7 გადაწყვეტილების საფუძველზე დამოუკიდებელმა აუდიტორმა თამაზ ჯანეზაშვილმა დაადგინა (აუდიტორული დასკვნა, 29 ოქტომბერი, 2007 წელი) კომპანიის მფლობელობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნორმატიული ფასი, რის შედეგადაც შპს „სიონი-მ“-ის საწესდებო კაპიტალი და ძირითადი საშუალებების მიწის ნაკვეთების ანგარიში გაიზარდა 1,835,770 ლარის ოდენობით.

საქმიანობის დასაწყისისათვის კომპანიის ბალანსზე აღრიცხული 45,014,640 ლარის ოდენობის გადასაცემი ქონება, 2007 წელს საწარმოთა მართვის სააგენტოს N1-3/482, 1-3/760, 1-3/852 ბრძანებების შესაბამისად შემცირდა ჯამში 2,126,748 ლარით. ნაშთი 42,887,892 ლარის ოდენობით გადაჯგუფდა ეგრედწოდებული „გადასაცემი ქონების“ ანგარიშზე, წლიურმა ცვლამ შეადგინა 2,656,583 ლარი. ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები გადაცემის თარიღისათვის იყო გაუშიფრავი, არ იყო დადგენილი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა, ასევე გამოყენებადი იქნებოდა თუ არა აღნიშნული ქონება კომპანიის საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, 2009 წლამდე ორგანიზაცია ამ ანგარიშზე რიცხულ ქონებას არიცხავდა ცვეთას.

2008 წელს N1-3/252 და N1-3/379 ბრძანებების საფუძველზე ჯამურად 35,064,062 ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებები ამოღებულ იქნა საწყისი ღირებულებით კომპანიის კაპიტალიდან, რისი შესაბამისი ცვეთა (2,187,154 ლარი) აისახა შპს „სიონი-მ“-ის მოგება-ზარალის უწყისში - „შემოსავალი არაეკონომიკური საქმიანობიდან“ მუხლში.

2009 წლის განმავლობაში არ მომხდარა ძირითადი საშუალებების გადაცემა, თუმცა 2009 წლის 28 თებერვლით დათარიღებული ბრძანების შესაბამისად მოხდა 62,285 ლარის ღირებულების აქტივის ნარჩენი ღირებულებით რეალიზაცია. აღსანიშნავია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 2009 წელს შპს „სიონი-მ“-მა საქმიანობიდან გამომდინარე ძირითად საშუალებებს არ დაარიცხა ცვეთა, ვინაიდან ამორტიზაციის გამო საწარმო მოგება-ზარალის უწყისში აჩვენებდა ზარალს. 2009 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის Nმ-567, Nმ-618 და Nმ-685 ბრძანებების საფუძველზე, საწარმოში განხორციელდა გასვლითი საგადასახადო შემოწმება (2009 წლის 2 ოქტომბერი), რის შემდეგაც ორგანიზაციამ მიიღო ზეპირსიტყვიერი რეკომენდაცია შეეჩერებინა ცვეთის დარიცხვა გადასაცემ ძირითად საშუალებებზე, რადგანაც არ ხდებოდა მათი გამოყენება ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობისათვის.

გადაცემული ძირითადი საშუალებების შესაბამის დაგროვილ ცვეთას, აღრიცხავდა ქონების მართვის სპეციალისტი, რომლის ბუღალტრულ გატარებასაც აკეთებდა ორგანიზაციის ფინანსური მენეჯერი, რისი კოორდინაციაც არ ხდებოდა მთავარ ბუღალტერთან, რადგან ის არ ფლობდა დეტალურ ინფორმაციას ძირითადი საშუალებების ცვეთასთან დაკავშირებით. ორგანიზაციას არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, რაც მიუთითებს სტრუქტურულ სისუსტეზე და წარმოშობს შეცდომის დაშვების ალბათობას.

2007 წლის ქონების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 1,439,470 ლარის წმინდა ღირებულების ძირითადი საშუალებების არ არსებობა, რომელიც შეფასებული იყო აუდიტორული ფირმა „ათოსი“-ს მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა 1,439,470 ლარის არ არსებული ქონება კვლავ ირიცხება ორგანიზაციის ბალანსზე, რაც არამართებულად ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას. ამასთანავე, 2009 წლის ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანიის ბალანსზე აღრიცხული იყო 5,726,325 ლარის ღირებულების ამორტიზებული და ფუნქცია დაკარგული

ძირითადი საშუალებების პასიური ნაწილი, რასაც 2007-2008 წლების განმავლობაში ერიცხებოდა ქონების გადასახადი. აღნიშნული ძირითადი საშუალებების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ არსებობს სამშენებლო საქმიანობათა ექსპერტთა კავშირის - „გეოკონსტი“-ს საექსპერტო დასკვნა.

შპს „სიონი-მ“ არ აწარმოებს ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელ რეესტრს, რაც შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. ძირითადი საშუალებების რეესტრის შედარება ბუღალტრულ ჩანაწერებთან იძლევა მტკიცებულებას აქტივების სრულად აღრიცხვის შესახებ და აგრეთვე უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას ძირითადი საშუალებების კონდიციის, მდებარეობის, დაგროვილი ცვეთის და სხვა მახასიათებლების შესახებ. აუცილებელია, რომ ორგანიზაციამ აწარმოოს ძირითადი საშუალებების რეესტრი, რითაც უზრუნველყოფს აქტივების სისრულეს და ფინანსური ანგარიშგების სანდოობის დონის ამაღლებას.

2010 წლის 17 დეკემბერს გამოცემული საქართველოს კანონის - „მიწების მელიორაციის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ მეორე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, 2011 წლის 4 თებერვლამდე უნდა მომხდარიყო საჯარო სამართლის იურიდიული პირების - სამელიორაციო და სამოვრების გაწყლოვანების სისტემათა ასოციაციების ლიკვიდირება. ამავე კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს უნდა უზრუნველყოთ ასოციაციების ბალანსზე არსებული სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და პირველადი წყალმოსარგებლისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით გადაცემა. აღნიშნული კანონის მოთხოვნა დღემდე არ შესრულებულა, პირველადი წყალმოსარგებლეზე (2012 წლიდან „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“) არ მომხდარა ასოციაციების ბალანსზე არსებული ქონების გადაცემა.

3. საკუთარი შემოსავლები

კომპანიის დაარსების საწყის წლებში სარწყავი წყლის მიღებას, მისი მომხმარებლისთვის მიწოდებას და წყალმიწოდებელ ორგანიზაციასთან ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ სამელიორაციო ასოციაციები. სამელიორაციო ასოციაციები წარმოადგენდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლის საქმიანობაზეც ზედამხედველობას ახორციელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ასოციაციები გაუქმდა 2010 წლის 17 დეკემბრით დათარიღებული „მიწების მელიორაციის შესახებ საქართველოს კანონის ძალადაკარგულობის თაობაზე“ კანონის შესაბამისად. ასოციაციების ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო 2011 წლის 4 თებერვლისათვის.

ასოციაციების გაუქმებით კომპანიას დარჩა დებიტორული დავალიანება რომელიც უიმედოა, რადგან აღნიშნული ასოციაციები 2010 წლიდან გარდაბნის რაიონში, ხოლო 2011 წლიდან დანარჩენ რეგიონებში გაუქმდა. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციას ცხრილში მითითებული დავალიანების ჩამოწერის უფლება არ აქვს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

უზნების დასახელება	2008	2009	2010	2011
ხრამი დებედა	104,933	119,809	309,109	309,109
მტკვარი ჯანდარა	239,403	234,740	234,740	234,740
მაშავერა	57,284	67,599	78,501	78,101
მტკვარი ალგეთი	18,831	21,681	27,151	26,891
ზემო სამგორი	11,227	11,427	22,115	22,115
ქვემო სამგორი	12,602	10,650	12,562	12,148
სულ:	444,280	465,906	684,178	683,104

ასოციაციების გაუქმების შემდეგ ხელშეკრულებები წყლის მიწოდების მომსახურების გაწევაზე ფორმდება შპს „სიონი მ“-სა და ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის. ფიზიკური პირის შემთხვევაში მომსახურების საფასური რეგულირდება „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად. დადგენილი გადასახადი, 75 ლარი, გულისხმობს 1 ჰა მიწაზე წლის განმავლობაში იმდენჯერ მორწყვას, რამდენსაც მოითხოვს ესა თუ ის წყლის მოსარგებლე.

კომპანიის დაქვემდებარებაშია ოთხი ტექნიკური მომსახურების ცენტრი: მაშავერა, ხრამი-ალგეთი, იორი და მტკვარი-ჯანდარა. მომსახურების ცენტრების მიხედვით სარწყავ სისტემებზე დაქვემდებარებული ფართობი (ჰა) შემდეგნაირია:

სერვის ცენტრი	თვითდინებითი სარწყავი მიწის ფართობი (საპროექტო)	რეგულარული სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი მიწის ფართობი
მაშავერა	8,380	2,600
ხრამი-ალგეთი	26,265	11,000
იორი	50,995	17,900
მტკვარი-ჯანდარა	10,445	8,500
სულ	96,085	40,000

2012 წლის რეაბილიტაციის პროგრამის მიხედვით, სერვის ცენტრებს დაემატებათ ჯამურად 11,500 ჰექტარი რეგულარული სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი მიწის ფართობი. პროგრამა მოიცავს სათავე ნაგებობების რეაბილიტაციას, არხების გამტარიანობის გაზრდის და სარეგულაციო ფარების შეკეთებას. რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში შპს „სიონი-მ“-ს მოხმარდება 1,386,660 ლარი.

შპს „სიონი-მ“-ის დაქვემდებარებაში მყოფი სარწყავი სისტემის საპროექტო სიმძლავრე უნდა უზრუნველყოფდეს 96,085 ჰექტარი მიწის სარწყავი წყლით მომარაგებას.

თუმცა, ინფრასტრუქტურის ტექნიკური გაუმართაობის პირობებში სარწყავ სისტემას შეუძლია მოემსახუროს მხოლოდ 40,000 ჰექტარ მიწის ფართობს. სისტემების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა ხდება კომპანიის ტექნიკური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ.

კომპანიის სტრუქტურაში შემავალი სერვის ცენტრების დაქვემდებარებაშია შემდეგი სარწყავი სისტემები:

	მარნეულის ს.ც.	მაშავერას ს.ც.	იორის ს.ც	მტკვარი-ჯანდარას ს.ც.
სარწყავი სისტემები	ტბისი-კუმისი	კაზრეთი	ზემოსამგორი	გარდაბნის სარწყავი სისტემა
	ხრამი			
	აღმაშენებელის	ზედაარხი		
	ვაზიანი-იბერია			
	გამარჯვება			
	ბარათაანთარხი	იმირასანი	ქვემოსამგორი	
	ძველისადახლო			
	მეგობრობა	არახლო		
	ახალისადახლო			
	ჯანდარა	დმანისი-განთიადი		
	9 აპრილი			

სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტი, კომპანიის განმარტებით, პროექტების შესაბამისად საშუალოდ შეადგენს 85%-90%-ს, ხოლო ფაქტობრივი უდრის 65%-70%-ს (სახელმწიფო ნაწილი: მაგისტრალური და მეორე რიგის ძირითადი გამანაწილებლები). შიდა სამეურნეო ნაწილის მარგი ქმედების კოეფიციენტი 50%-55%. შესაბამისად, სისტემის დანაკარგი შეადგენს 30%-35% პროცენტს, როდესაც ნორმას წარმოადგენს 10%-15%-ი.

4. აუდიტის შედეგად აღმოჩენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

4.1 გამოვლენილი გარემოება:

შპს „სიონი-მ“-ის სტრუქტურაში, არ არსებობს შიდა აუდიტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ექნებოდა მკაფიოდ გაწერილი და დამტკიცებული სამოქმედო გეგმა და შესაბამისი პროცედურები, რომლის მიზანია საკითხების სისტემური, კომპლექსური შესწავლისა და რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების შეფასების გზით დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესება.

გავლენა:

შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის არ არსებობა ორგანიზაციაში ზრდის, როგორც აქტივების არაეფექტიანად მართვის რისკს, ასევე გამართული შიდა კონტროლის სისტემების სრულფასოვნად მუშაობის რისკს.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა შეიქმნას შიდა აუდიტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ექნება გაწერილი და დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.

სტრუქტურული ერთეული ხელს შეუწყობს ხელმძღვანელობას კომპანიის საქმიანობის სრულყოფასა და დასახული მიზნების მიღწევაში.

შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეული ამოწმებს ორგანიზაციაში დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობასა და კონტროლის სისტემების მუშაობის ხარისხს. ასევე შეაფასებს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ეფექტიანობას და კომპანიაში არსებულ სხვადასხვა საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებს.

რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ფუნქციები იქნება:

- „შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად და დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში შიდა აუდიტის განხორციელება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
- კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;
- კომპანიის ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- კომპანიის საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია, მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი;
- კომპანიის დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი;
- კომპანიის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება;
- სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების ჯეროვნად განხორციელების შემთხვევაში, კორპორაციის ხელმძღვანელობა თავიდან აიცილებს ყველა იმ პრობლემას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იქნას როგორც საქმიანობის კანონთან შეუსაბამობით, ასევე არაეფექტიანი მმართველობით.

4.2 გამოვლენილი გარემოება:

მაგისტრალური და უფრო დაბალი რიგის გამანაწილებელი არხები არის სარეაბილიტაციო. ასევე, პროექტების მიხედვით, გამანაწილებელი ქსელი აშენებულია მსხვილკონტურიანი ნაკვეთების მოსარწყავად და ვერ ემსახურება ეფექტურად მრავალ მოსარგებლეთა შორის განაწილებულ წვრილკონტურიან ნაკვეთებს.

არ ფუნქციონირებს არცერთი სატუმბო სადგური, რომელიც უზრუნველყოფდა იმ მიწის ნაკვეთების მომსახურებას, რომლის მორწყვაც ვერ ხერხდება თვითდინებით.

გავლენა:

დაზიანებულმა წყალსარეგულაციო ფარებმა შესაძლოა გამოიწვიოს ჭარბი წყლის გაშვება სარწყავ არხებში და აღნიშნულის გამო მოსახლეობას დაეტბოროს მიწები. გამართული სარეგულაციო ფარებით და ტექნიკური აღჭურვილობით კომპანია შეძლებს მომავალში წყლის დანაკარგების შემცირებას, წყლის მართვა-რეგულირების და წყლით უზრუნველყოფით გაუმჯობესებას, სარწყავი წყლით უფრო მეტი მომხმარებლის დაკმაყოფილებას, რაც მეტ შემოსავალს მოუტანს მას, პიკების შემთხვევაში კი მორწყვის დღეების რაოდენობის შემცირებას.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, კომპანიამ შეიმუშაოს რაციონალური გეგმა, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მოიზიდოს სახსრები სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

4.3 გამოვლენილი გარემოება:

კომპანია ფიზიკურ პირებთან აფორმებს ორი ტიპის ხელშეკრულებას: 0-დან 1,5 ჰექტარამდე საკარმიდამო და 1,5 ჰექტარზე მეტ ფართობ მიწის მორწყვაზე. მეორე ტიპის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, პირველი ტიპის ხელშეკრულებაში, მიწის ნაკვეთების მცირეკონტურიანობის და III რიგის გამანაწილებელი არხების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არ არსებობის გამო, არ ფიქსირდება მომსახურების გაწევის პერიოდი, მორწყვის ჯერადობა, ფართობის მოცულობა და მორწყვის დეტალური გრაფიკი რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნულ მომხმარებელზე გაწეული მომსახურება უკონტროლოა.

გავლენა:

მცირე ფართობიან მიწებზე მომსახურების გაწევაზე გრაფიკის არ არსებობა იწვევს სარწყავი წყლის რაოდენობის უკონტროლოებას, რაც წარმოშობს პრობლემებს პიკურ პერიოდში. („პიკი“ - პერიოდი, როდესაც მოთხოვნა მკვეთრად იზრდება, და საჭირო ხდება მომსახურების პერიოდის გაზრდა)

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, სარეაბილიტაციო პროექტებში გათვალისწინებული იქნეს II და III რიგის გამანაწილებელი არხების მოდერნიზაცია, საკარმიდამო მიწებზე მიწოდებული წყლის რაოდენობისა და მორწყვის ჯერადობის განსაზღვრა, გასაწევ მომსახურებაზე დეტალური გრაფიკის შედგენა, რაც უზრუნველყოფს მცირეკონტურიანი ნაკვეთებისათვის წყლის მართვა-რეგულირების გაუმჯობესებას და დეფიციტის პრობლემის აღმოფხვრას პიკურ პერიოდში.

4.4. გამოვლენილი გარემოება:

სარწყავ სისტემებს წყალი მიეწოდებათ შემდეგი მდინარეებიდან: მდ. მაშავერა (ბოლნისის და დმანისის რაიონი), მდ. ალგეთი (თეთრიწყარო), მდ. ხრამი და მდ. დებედა (მარნეული), მდ. მტკვარი (გარდაბანის რაიონი) და მდ. იორი (საგარეჯოს, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონები). მდინარეებზე აშენებულია პრიმიტიული და ფუნდამენტური სათავე ნაგებობები, რომლებიც არეგულირებენ სისტემაში გაშვებული წყლის ოდენობას. თუმცა, სარეგულაციო კვანძების დაზიანების, მაგისტრალურ არხებზე უსისტემოდ მოწყობილი ხვრეტების და სიფონების გამო გართულებულია წყლის მართვა-რეგულირება. ამასთანავე, რამოდენიმე სისტემა (მაგ. ბოლნისისა და მარნეულის) არის პრიმიტიული, არ გააჩნიათ კაპიტალური სათავე ნაგებობა, რის გამოც ვერ კონტროლდება და არ აღირიცხება სისტემაში ჩაშვებული წყლის მოცულობა. ასევე არსებობს რისკი იმისა, რომ მიწის პრიმიტიული ნაგებობა, დიდი რაოდენობით მოვარდნილმა წყალმა მთლიანად დაანგრის.

გავლენა:

აღნიშნული პრობლემის გამო, კომპანიას რამოდენიმეჯერ უხდება პრიმიტიული ნაგებობის თავიდან აშენება და გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა. ასევე არსებობს რისკი იმისა, რომ მსგავსი ტიპის ნაგებობებთან არსებულ ტერიტორიაზე მოხდეს დატბორვა და დაზარალდეს მოსახლეობა.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, მოხდეს ფუნდამენტური სათავე ნაგებობების აშენება, რაც გულისხმობს ბეტონის კონსტრუქციას მასზე დამაგრებული ფარებით, რითაც მოხდება გაუთვალისწინებელი ხარჯების ეკონომია და მოსახლეობის დაცვა მოვარდნილი ჭარბი წყლისაგან.

4.5. გამოვლენილი გარემოება:

ინფრასტრუქტურის გაუმართაობის და აღჭურვილობის დაბალი დონის გამო, ვერ ხერხდება წყალმომხმარებელთა შორის წყლის რაციონალურად განაწილება. წყლის დანაკარგისა და ჰექტარზე დახარჯული სარწყავი წყლის ოდენობის ზუსტი აღრიცხვა. ამასთანავე, მომსახურების ფიქსირებული ტარიფის გამო (75 ლ/ჰა/წელიწადში), წარმოიქმნება რისკი, რომ წყალმომხმარებელმა გამოიყენოს იმაზე მეტი წყალი, ვიდრე ესაჭიროება, ნამეტი წყალი კი ფარულად მოხმარდეს სხვა მომიჯნავე ნაკვეთის მორწყვას.

გავლენა:

აღნიშნულის შედეგად წარმოიქმნება რისკი იმისა, რომ რამდენიმე წყალმოსარგებელმ გაინაწილოს მომსახურების გადასახადი, რაც შესაბამისად ნეგატიურად აისახება შპს „სიონი-მ“-ის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, კომპანიამ შეიმუშავოს გრძელვადიანი გეგმა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/ჩანაცვლების კუთხით, რომელიც შესაძლებელს გახდის სისტემაში გაშვებული წყლის ზუსტ აღრიცხვას, რაც შექმნის დახარჯულ წყალზე მიბმულ ტარიფზე გადასვლის წინაპირობას.

4.6. გამოვლენილი გარემოება:

წყლის უკანონო მოხმარების გამომჟღავნების ერთადერთი კონტროლის მექანიზმი კომპანიის მხრიდან არის ინსპექცია, რომელიც დარღვევის ადგილზე დაფიქსირების შემთხვევაში აჯარიმებს წყალმომხმარებელს. (250 ლ. - ფიზიკური პირი, 500 ლ.-იურიდიული პირი). აღნიშნულთან დაკავშირებით კანონი ძალაში შევიდა 2009 წლის 18 დეკემბერს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 296-ე მე-4 პრიმა მუხლის შესაბამისად. კომპანიის კონტროლის მექანიზმი არ არის ეფექტური, მას აქვს მხოლოდ გამოვლენითი ფუნქცია და არ ატარებს პრევენციულ ხასიათს. გარდა ამისა კომპანიის ადმინისტრაციის მხრიდან ინსპექტირების ჯგუფის საქმიანობაზე არ ხორციელდება ზედამხედველობა და ის ძირითადად ურთიერთნდობას ემყარება. ინსპექტირების ჯგუფის თანამშრომლები სადღესასწაულო და უქმე დღეებში ისვენებენ.

გავლენა:

წყალმომხმარებლის მიერ ნაკვეთის უკანონოდ მორწყვის სარგებელი შეიძლება აღემატებოდეს ჯარიმის ოდენობას, ვინაიდან ჯარიმა არ არის მიბმული მორწყული მიწის ფართობზე და ის ერთჯერადია გამოვლენილ ფაქტზე. რისკს აგრეთვე წარდის ის ფაქტი, რომ ინსპექტირების ჯგუფის თანამშრომლები სადღესასწაულო და უქმე დღეებში არ მუშაობენ. ასევე, ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მხრიდან სუსტი კონტროლის მექანიზმი შესაძლოა ინსპექტორსა და წყალმომხმარებელს შორის გახდეს ფარული გარიგების საფუძველი.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, განისაზღვროს ჯარიმის ოდენობა უკანონოდ მორწყული მიწის ფართობზე, მოხდეს სადღესასწაულო და უქმე დღეებში მუშაობის გრაფიკის დადგენა ინსპექტირების ჯგუფის თანამშრომლებზე და დაინერგოს ადმინისტრაციული მმართველობის მხრიდან ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ინსპექტირების ჯგუფზე ზედამხედველობას.

4.7.გამოვლენილი გარემოება:

გაწეული მომსახურების შესაბამისად, ორგანიზაციასა და მოსარგებლეს შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელზეც ხელმოწერა ხდება ცალმხრივად, მხოლოდ კომპანიის წარმომადგენელი მხარის მიერ.

გავლენა:

მომსახურების გაწევა/მიღებაზე შემდგარი მიღება-ჩაბარების აქტის ცალმხრივად ხელმოწერა ადასტურებს მხოლოდ მომსახურების გაწევის ფაქტს, მაგრამ არ უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ მომსახურების მიღებას.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ კომპანიამ დანერგოს პროცედურა, რომლის მიხედვითაც იგი უზრუნველყოფს მომსახურების გაწევისა და მიღების ორმხრივ დადასტურებას, რითაც უტყუარს გახდის მის მართებულობას.

4.8. გამოვლენილი გარემოება:

შპს „სიონი მ“ 2011 წელს გაწია მომსახურება 17,815 ჰა (6 რეგიონი) მიწის მორწყვაზე. აღნიშნული ფართობზე კონტროლისთვის კომპანიას ინსპექტირების ჯგუფში ჰყავს მხოლოდ 9 თანამშრომელი და 4 ავტომანქანა.

გავლენა:

ინსპექტირების თანამშრომლების რაოდენობა შესაძლებელ ფართობთან და რეგიონების რაოდენობასთან მიმართებაში არ არის საკმარისი. არსებობს რისკი იმისა, რომ საკონტროლო ტერიტორიის გარკვეული ნაწილი აღმოჩნდეს ყურადღების მიღმა.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, მოხდეს კონტროლის ჯგუფის თანამშრომლების რაოდენობის ზრდა და მათი შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა. ასევე მნიშვნელოვანია არსებობდეს მკვეთრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობები და სამოქმედო გეგმა აღნიშნული მიმართულებით.

4.9. გამოვლენილი გარემოება:

სარწყავი წყლის აღრიცხვას ართულებს ის ფაქტი, რომ კომპანიას არ აქვს მონაცემთა ბაზა მუნიციპალიტეტების მიხედვით ნაკვეთებზე გაშენებული კულტურების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სისტემის მიერ სარწყავი წლით 40,000 ჰექტრის უზრუნველყოფა შესაძლებელი, ხელშეკრულებების რეესტრის მიხედვით 2008 წელს მოირწყა 6,094 ჰექტარი, 2009 წელს - 9,691 ჰექტარი, 2010 წელს - 13,598 ჰექტარი, ხოლო 2011 წელს - 17,815 ჰექტარი მიწის ფართობი. წყლის მოხმარების ტენდენცია მზარდია, თუმცა მოთხოვნა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება წყლის მიწოდების შესაძლებლობას.

გავლენა:

სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გაშენებული კულტურების შესახებ მონაცემთა ბაზის არ არსებობა ართულებს წყლის უკანონოდ მოხმარების ფაქტის გამოვლენას.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, კომპანიამ, შესაბამისმა მუნიციპალიტეტებმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთობლივი ძალისხმევით შექმნან ერთიანი მიწათმოსარგებლეთა ბაზა გაშენებული კულტურებისა და დამუშავებული მიწის ფართობების შესახებ. აღნიშნულის მოწესრიგებით მოხდება უკანონოდ მოხმარების ფაქტების პრევენცია.

4.10 გამოვლენილი გარემოება:

ფაქტიურად გაწეული მომსახურების საბუღალტრო ჩანაწერებისა და სერვის ცენტრების მიერ მოწოდებული რეესტრის მონაცემების შესახებ ინფორმაციის შედარების დროს აღმოჩენილ იქნა შემდეგი ტიპის შეუსაბამოები:

ანალიზის შედეგად 2008-2011 წლებში ფინანსურ ანგარიშგებაში ფიქსირდება 112,156 ლარის ისეთი შემოსავალი რომელიც ს/ც მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ არსებობდა

ბუღალტრული ჩანაწერების მეტობა

თარიღი	იორი ს/ც	მაშავერა ს/ც	მტკვარი-ჯანდარა ს/ც	ხრამი-ალგეთი ს/ც	ხრამი-ალგეთი, მტკვარი-ჯანდარა ს/ც
2008	3	18,265	-	8,146	-
2009	-	-	-	1,520	-
2010	176	-	498	3,853	29,000
2011	3,488	1,403	5,550	7,404	32,850
სულ	3,667	19,668	6,048	20,923	61,850

ხოლო ხელშეკრულების რეესტრის მიხედვით 106,372.75 ლარის შემოსავალი არ ფიქსირდება კომპანიის ბუღალტრულ ჩანაწერებში.

რეესტრის მეტობა

თარიღი	იორი ს/ც	მაშავერა ს/ც	მტკვარი-ჯანდარა ს/ც	ხრამი-ალგეთი ს/ც	ხრამი-ალგეთი, მტკვარი-ჯანდარა ს/ც
2008	1,700	18,265	-	19,051	-
2009	-	-	20	14,775	-
2010	6,651	-	1,996	14,776	-
2011	15,045	836	5,747	7,511	-
სულ	23,396	19,101	7,763	56,113	-

გავლენა:

შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე იწვევს მსგავსი ტიპის შეუსაბამოებს. ფინანსური დეპარტამენტი არ ახორციელებს არც ფინანსური მაჩვენებლების პერიოდულ ანალიზს და არც მის შესაბამის ანგარიშგებას, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობასთან, ასევე სერვის ცენტრების მენეჯერებთან. აღნიშნული კი ზრდის თაღლითობის ჩადენის რისკს.

რეკომენდაცია:

ჩვენი რეკომენდაციაა, ორგანიზაციამ უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმების და ანგარიშგების სისტემის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს შეუსაბამოების აღმოფხვრას ან/და მათ დროულ იდენტიფიცირებას.

ასევე დასაადგენია აღმოჩენილი უზუსტობის გამომწვევი მიზეზები და გასატარებელია შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები.

5. შპს „სიონი-მ“-ის და შპს „მტკვარი-მ“-ის მიერ განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობა

5.1. კაზრეთის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო პროექტი (შპს „სიონი-მ“)

კაზრეთის სარწყავი სისტემა წყალს იღებს მდინარე მაშავერას მარჯვენა ნაპირიდან, დაბა კაზრეთიდან. სისტემა ექსპლუატაციაში შევიდა 1956 წელს, ხოლო მისი სარწყავი ფართობი შეადგენს 1,045 ჰექტარს. 2007-2008 წლებამდე ირწყვებოდა 650 ჰექტარი ფართობი, ხოლო ბოლო წლებია აღნიშნული არხი, მიმდინარე და დაუმთავრებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, საერთოდ არ ფუნქციონირებდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2008 წელს დაწყებული და სხვადასხვა მიზეზებით დაუმთავრებელი, კაზრეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის, მაგისტრალური არხიდან ზედა არხის მაგისტრალურ არხში წყლის გადამყვანი მილსადენის მოწყობის სამუშაოების პროექტის მიზანს წარმოადგენს კაზრეთის მაგისტრალური არხიდან წყლით უზრუნველყოფილი იყოს დამატებით 395 ჰექტარი ე.ი. გასარწყავდეს მთლიანი ფართობი რომელსაც ემსახურება მაგისტრალური არხი. რაც შეეხება ზედა არხს მასზე ჩამოკიდებულია 2,428 ჰექტარი, არხი სხვადასხვა მიზეზების გამო სრულად ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, ამასთან ს.ს „მადნეული“-ს საქმიანობიდან გამომდინარე, მდინარე მაშავერას დაბინძურების გამო, მოსახლეობას მიეწოდებოდა სარწყავად უვარგისი წყალი. პროექტის მიზანს წარმოადგენდა კაზრეთის მაგისტრალური არხიდან, რომელიც წყალს იღებს დაბინძურებამდე, ზედა არხის მაგისტრალურ არხში წყლის გადამყვანი მილსადენის მოწყობის სამუშაოების ჩატარება, რათა ეკოლოგიურად სუფთა წყალი გადავიდეს ზედა არხში და შესაბამისად სარწყავი წლით უზრუნველყოს მასზე ჩამოკიდებული ფართობები, ამასთან პროექტის დასრულების შემდგომ ზედა არხი მოემსახურება 2,828 ჰექტარს. წყლის გადამყვანი მილსადენის მოწყობის სამუშაოებზე მთლიანი პროექტის ფარგლებში ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 433 ათასი ლარი. ამასთან აღნიშნული სამუშაოების ჩატარება გამოწვეულია ს.ს „მადნეული“-ს მიერ მდინარის დაბინძურებით, თუმცა ს.ს „მადნეული“ არანაირად არ მონაწილეობს პროექტის დაფინანსებაში და საერთოდ არც დასმულა აღნიშნული საკითხი.

სამუშაოთა წარმოების პროცესში, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადების გადაწევის ერთ-ერთ მიზეზთა შორის აღსანიშნავია შპს „კვარციტი“-ს მიერ კარიერიდან ჩამონადენი ნალექით არხის გადავსების მიზეზი. კერძოდ, 2011 წლის 16 აგვისტოს შპს „სიონი-მ“-ის ხელმძღვანელობასთან ჩატარებული თათბირის ოქმიდან ირკვევა რომ, სამუშაოთა წარმოების პროცესში 3-ჯერ მოხდა შპს „კვარციტი“-ს კარიერიდან ჩამონადენი ნალექით არხის გადავსება. არხი ორჯერ გაიწმინდა, ხოლო თათბირის ჩატარების მომენტისათვის, შპს „კვარციტი“-ს მხრიდან წყლის და დანალექის ამრიდი ღონისძიებების გატარებამდე არხის აღნიშნული მონაკვეთის გაწმენდას აზრი ეკარგებოდა. როგორც შპს „კვარციტი“, ასევე ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან გაცემულ იქნა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის დაპირებები. ამასთან შესაბამის უფლებამოსილ პირებს დაევაღათ კაზრეთის მაგისტრალური არხის მონაკვეთში კვარციტის კარიერიდან ჩამონადენი წყლებით მოტანილი დანალექის მოცულობის და ღირებულების დაზუსტება და შესაბამისად შესრულებული სამუშაოს უწყისში დაფიქსირება. სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ანალოგიური სამუშაოების შესაბამისად მოხდენილია შეთანხმება და ხარჯთაღრიცხვაში 250.3 მ³-ით გაზრდილია ნალექების გაწმენდის

სამუშაოების და მისი ტრანსპორტირების მოცულობები. შპს „კვარციტი“-ის 2011 წლის 21 ოქტომბრის წერილის თანახმად, გაფორმდა ხელშეკრულება გზიდან ჩამონადენი წყლების ლოკალიზაციის ღონისძიებათა და ამ ღონისძიებებისათვის საჭირო მოწყობილობებისა და კონსტრუქციების დაპროექტების მიზნით. აუდიტის დასრულების თარიღისათვის აღნიშნული პრობლემა მოუგვარებელია, რაც გახდა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში 2011 წლის 14 დეკემბერს ცვლილებების შეტანის ერთ-ერთი საფუძველი და გამოიწვია კონკრეტული სამუშაოების გადაანგარიშება და ხელშეკრულების ვადის 70 დღით გაგრძელება. ამასთან ზედმეტად წარმოშობილ ხარჯებთან და სამუშაოების დასრულების ვადების შპს „კვარციტი“-ს მიზეზით გამოწვევის მიუხედავად მის მიმართ რაიმე რეაგირების ღონისძიებები არ გატარებულა.

როგორც ზემოთ აღინიშნა სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია ჯერ კიდევ 2008 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, რომლის დასრულებაც სხვადასხვა მიზეზებით ვერ მოხერდა და პროექტის დასრულება დაევალა შპს „სიონი-მ“-ს, რომელმაც შპს „ნიუ ენერჯისთან“ 2010 წლის დეკემბერში გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სამუშაოს დასრულების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 14 ივლისი, ამის შემდგომ სხვადასხვა მიზეზებით ხდებოდა სამუშაოების შესრულების ვადების გაგრძელება. ბოლო შეთანხმების მიხედვით სამუშაოები 2012 წლის 25 აპრილს უნდა დასრულებულიყო, ანუ სამუშაოების 7 თვეში დასრულების ნაცვლად სამუშაოების დასრულების ვადა გაიწელა 16 თვეზე. თუმცა აღნიშნული პირობაც ვერ შესრულდა და სამუშაოები დღემდე დაუსრულებელია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, 2012 წლის 10 აგვისტოს წერილის თანახმად, მისი ზედამხედველობის პერიოდში სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1,574,404 ლარი, ხოლო შპს „სიონი-მ“-ზე პროექტის დასრულების დავალებიდან 2012 წლის ივლისამდე 1,573,571 ლარი. მთლიანობაში აღნიშნული პროექტი მიმდინარეობს უკვე მე-5 წელია და შესაბამისად ამ პერიოდის განმავლობაში გამოუყენებელია საერთო ჯამში 3,873 ჰექტრის მორწყვის შესაძლებლობა, რაც შესაბამისად აისახება აღნიშნულ ტერიტორიებზე წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანაზე და ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს რეგიონის განვითარებაზე.

5.2 პროექტი „შიდა ქართლის რეგიონის, სოფელ ქვემო ნიქოზის 140 ჰა მიწის ფართობზე ბოსტნეული კულტურების კომერციული წარმოების წვეთოვანი სარწყავი სისტემის განვითარება - მართვა“ - შპს „მტკვარი-მ“

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის 2011 წლის 11 მარტის N565 განკარგულების საფუძველზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოეყო 4,500,000 ლარი სახელმწიფო 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „მტკვარი-მ“-ის საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით.

აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, შპს „მტკვარი-მ“-ს უფლება მიეცა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პროექტის შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 ივნისის N1166 განკარგულების საფუძველზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოეყო 200,000 ლარი სახელმწიფო 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „მტკვარი-მ“-ის საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით გორის მუნიციპალიტეტში (სოფ. ქვემო ნიქოზი) „ერთწლიანი კულტურების თანამედროვე ტექნოლოგიებით ორგანიზებული პირველადი წარმოების ღონისძიებათა დასაფინანსებლად“.

სულ საწესდებო კაპიტალში შესატანი სახსრების და მთლიანი პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილმა დაფინანსების ოდენობამ 4,700,000 ლარი შეადგინა.

2011 წლის 23 მარტს გაფორმდა შპს „მტკვარი-მ“-ს (შემსყიდველი), ერთის მხრივ და მეორეს მხრივ „ვესტა გრუპ იაპი ტააჰუტ სანაი ვე ტიკარეტ შტი“-ს (მომწოდებელი), თურქეთის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს შორის, შეთანხმება შემდეგზე:

„საქართველოს შიდა ქართლის რეგიონის გორის რაიონის სოფელ ქვემო ნიქოზის 140 ჰა მიწაზე ბოსტნეული კულტურების კომერციული წარმოების წვეთოვანი სარწყავი სისტემის განვითარება და მართვა/მენეჯმენტი“ და შემსყიდველმა მიიღო შემოთავაზება მომწოდებლისგან 1,728,469 ევროს ღირებულების საქონლის და მომსახურების მიწოდების თაობაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების და გადასახდელების გარეშე. კერძოდ: ბოსტნეულის და სასუქების ღირებულება 772,395 ევროს, სარწყავი სისტემის მასალები და მოწყობილობები 667,530 ევროს და მუშა-ხელი 288,544 ევროს ოდენობით.

შემსყიდველის მოთხოვნის თანახმად, მომწოდებლის ვალდებულებაა უზრუნველყოს წყალსაცავიდან წყალმომარაგებისათვის აუცილებელი მთავარი მილსადენის, საირიგაციო/სარწყავი ქსელის და წვეთოვანი სარწყავი სრული სისტემის მონტაჟი, 140 ჰა მიწაზე წარმოების ორგანიზება (ჩითილები, თესლი, სასუქი, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სახნავი და სათესი მანქანები და სამუშაო ძალა) და მართვა/მენეჯმენტი ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღებამდე და მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელზე.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შპს „მტკვარი-მ“ ვალდებულია ჩაატაროს მიწის სათესად მოსამზადებელი, მოხვნის და კულტივაციის სამუშაოები.

მმლავრის შეერთების წერტილი ტუმბოსა და გამწმენდი მოწყობილობებისათვის, სისტემა უზრუნველყოფილი იქნა ირიგაციისათვის საჭირო წყლით. აღნიშნული სამუშაოების შესრულება და მომსახურება განხორციელდა პროექტის ფარგლებში სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

„ვესტა გრუპის“ მხრიდან, ადგილი არ ჰქონია რაიმე პრეტენზიის წამოყენებას და უპირობოდ დაიწყო სარწყავი სისტემის დამონტაჟება და ბოსტნეული კულტურების დათესვა. თუმცა მან ვერ განახორციელა სათანადო მართვა ბოსტნეულის კულტურების წარმოებაზე, ვერ შეასრულა ვალდებულება მოსავლიანობის ჰექტრულ საშუალო მაჩვენებლებზე და ნაცვლად შეთანხმებულისა აღებული და რეალიზებული იქნა მხოლოდ ცხრილში ნაჩვენები რაოდენობები:

პროდუქტი	გეგმიური საშუალო მოსავლიანობა (ტონა)	ფაქტიური მოსავლიანობა (ტონა)
პომიდორი	2,025	23.93
ხახვი	1,750	-
კიტრი	700	11
ყვავილოვანი კომბოსტო	100	-
ბროკოლი	100	0.30
ყაბაყი	175	12.73
ტკბილი წიწაკა	200	15.10
ბადრიჯანი	200	6.43

შპს „მტკვარი-მ“-ის მხრიდან პროექტის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოსტნეული კულტურების დადგენილი ოდენობით მოყვანას ემუქრებოდა საფრთხე, ნაცვლად სასწრაფო ზომების მიღებისა „ვესტა გრუპ“-მა მოსავლის აღების დაწყების მომენტში 2011 წლის 18 აგვისტოს მიატოვა მიწის ნაკვეთი და სრულიად უყურადღებოდ დატოვა იგი. შემსყიდველმა არაერთგზის მოსთხოვა კომპანიას სამუშაო ადგილზე დაბრუნება, დარჩენილი მოსავლის გადარჩენის მიზნით, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნული გარემოების გამო 2011 წლის 26 აგვისტოს გაეგზავნა შეტყობინება N380 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ პირობების შეუსრულებლობის გამო და დარჩენილი გადასახდელი თანხის გადახდის შეწყვეტაზე.

სსიპ „ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნით, სოფელ ნიქოზში 140 ჰა-ზე არ არის სრულყოფილად ჩატარებული და დაცული თესვა-მოყვანის აგროწესები, ნაკვეთების გარკვეული რაოდენობა მოცდენილია, გაუთოხნავია, დასარეველიანებულია, ნაყოფი დაზიანებულია კოლოფის ჭიით, ჭრაქით, ზრდა შეჩერებულია და მოსავლის ძირითადი ნაწილი მეორე ხარისხისაა.

წინასწარ განსაზღვრული ოდენობის ბოსტნეულის კულტურების მოყვანა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ინტერესს. დასაქმდებოდა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა და მოყვანილი მოსავლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდებოდა დევნილი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

შპს „მტკვარი-მ“-ის თხოვნით შუამავალმა თურქულმა ბანკმა გააუქმა აკრედიტივის ანგარიში (353,890 ევროს ოდენობით, შემდგომში კაპიტალიდან ამოღებული) და ასევე „ვესტა გრუპის“ ანგარიშიდან ჩამოაჭრა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის (ხელშეკრულების ფასის 3%) საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა (56,250 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული კურსით 118,969 ლარი).

აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შპს „მტკვარი-მ“-მა მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით, რომლითაც მოითხოვს მისი ბრალეული ქმედების გამო, მიუღებელი მოსავლის ღირებულების საბაზრო ფასებით ანაზღაურებას და

ამასთან პირგასამტეხლოს გადახდას. სარჩელში აღნიშნული გაანგარიშების მიხედვით, დადგენილი ოდენობით მოსავლის მიღების შემთხვევაში გაყიდვიდან მისაღები თანხა მოსავლის აღების ხარჯების გამოკლებით იქნებოდა 2,239,000 ლარი, რეალურად მიღებული მოსავლის ღირებულება კი შეადგენს 22,009 ლარს (დღგ-ს ჩათვლით). დარჩენილ თანხას 2,216,990 ლარს აკლდება საბანკო გარანტიის ამოქმედებიდან მიღებული თანხა 118,969 ლარი და მოსავლის ასაღებად გაწეული დანახარჯი 221,699 ლარი (მოსავლის აღება შემსყიდველის მოვალეობა იყო). შედეგად სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების კუთხით შეადგენს 1,876,323 ლარს.

მეორე სასარჩელო მოთხოვნა ეხება შემსყიდველის სასარგებლოდ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით 1,513 898 ლარის დაკისრებას.

ხელშეკრულების მე-6 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, პროექტის მიმდინარეობის და შესრულების კონტროლის მიზნით, შეიქმნა 7 კაციანი ინსპექტირების ჯგუფი.

აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, მათ ევალებოდათ ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სისტემატიურად ინფორმაციის მომზადება-წარდგენა, გაწეული მომსახურების ცალკეულ სახეობებზე მიღება-ჩაბარების შუალედური და საბოლოო აქტების შედგენა და კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერა. მიუხედავად ამისა, მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტებზე არ არის მითითებული თარიღი და ფიქსირდება ცალმხრივი ხელმოწერა („მტკვარი-მ“-ის დირექტორი). პირველი აქტი კი შედგენილია 2011 წლის 22 აგვისტოს (მომწოდებლის წასვლის შემდეგ), რომელშიც აღწერილია სოფელ ნიქოზში 140 ჰა მიწის ნაკვეთზე ჩატარებული სამუშაოების ხარისხობრივი მდგომარეობა, რომ არსებობს საფუძვლიანი საფრთხე, ვერ იქნეს მიღწეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპექტარო მოსავლიანობა.

ზემოთ აღნიშნული ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად მოწვეულ სპეციალისტებთან ვალდებულებების და ანაზღაურების პირობები განსაზღვრულია მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. ინსპექტირების ჯგუფის ერთ-ერთ მოწვეულ წევრ გოდერძი ტეტუნაშვილთან ყოველთვიურად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტებზე დართული ინფორმაციის მიხედვით უკვე 6 ივნისიდან ფიქსირდება ხარვეზები ბოსტნეულის ჩითილების გახმობის და მომწოდებლის სხვა ვალდებულებების შესრულების საკითხებზე. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა ინსპექტირების ჯგუფს არ შეუდგენია შესაბამისი ინსპექტირების აქტები და არ მიუმართავს კომპანიის ხელმძღვანელობისათვის მოსავლიანობის ხარვეზებზე, მომწოდებლის გაქცევამდე.

პროექტის განხორციელების ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები:

განხორციელებული პროცედურების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. მომწოდებლის შერჩევისას არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმები: გამოცდილება აღნიშნულ დარგში, კვალიფიციურობა, ფინანსური მდგომარეობა და საიმედო პარტნიორობა.

2. შპს „მტკვარი-მ“-ის მხრიდან პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების, ინსპექტირების ჯგუფის და ზედამხედველების მიერ მოსავლიანობასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ სათანადო და დროული კონტროლის განხორციელების შემთხვევაში,

შესაძლებელი იქნებოდა კომპანიას თავიდან აეცილებინა მომწოდებლის მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ვალდებულებების შესრულებაზე, რაც ზარალის ოდენობასაც მკვეთრად შეამცირებდა.

3. არ შესრულდა პროექტით გათვალისწინებული ძირითადი პირობა მომწოდებლის მიერ 140 ჰა მიწაზე წარმოების ორგანიზება და მართვა/მენეჯმენტი ბოსტნეული კულტურების მოსავლის მიღება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა მოსახლეობის დასაქმებას და მოსავლის რეალიზაციიდან მიღებული სახსრები მოხმარდებოდა მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზედამხედველი აუდიტორი
(ჯგუფის უფროსი)




ნინო ქურიძე

მთავარი აუდიტორი



გიორგი ბერუჩაშვილი

აუდიტორი



ანა ალავერდაშვილი

აუდიტორი



თეონა ავალიანი